



ხელვაჩაურის 11 თემში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის“ 968 000 ლარზე მეტია გამოყოფილი

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა. საკრებულოს წევრებმა სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 7 საკითხი დაამტკიცეს

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა - კერძოდ 14 000 ლარი, რომელიც სანიაღვრე არხების მოსაწყობად იყო გამოყოფილი, შეიძინა სოფლო გზისთვის ბეტონის შესაძენად დაიხარჯება. ცვლილებას მხარი საკრებულოს უმრავლესობამ დაუჭირა. ჯამში, ხელვაჩაურის 11 თემში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის“ 968 000 ლარზე მეტია გამოყოფილი.

ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა მოქალაქეების განცხადება. ისინი ითხოვდნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ბათუმში, მახვილაურის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით.

ასევე, სხდომაზე თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტში მოქმედ „ქალთა ოთახს“ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქალთა ოთახების გაერთიანების“ წევრად გახდომის შესახებ.



ამ განკარგულების მიღების მთავარი მიზანია, „ქალთა ოთახში“ შეძლოს და მიიღოს დამატებითი საგრანტო პროექტებში მონაწილეობა. საქართველოს „ქალთა ოთახების გაერთიანებაში“ გაწევრიანების შემთხვევაში უკვე შესაძლებელი იქნება დამატებითი ფინანსების მოძიებაც.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში“ გვაქვს 968 000 ლარი, აქედან მოხდა 14 000 ლარის ცვლილება, რომელიც შეეხო, კერძოდ, ორთაბათუმის სოფელ აგარას, სადაც მოსახლეობამ მოითხოვა სანიაღვრე არხების მოწყობა, - განაცხადა ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მინდია დიასამიძემ.

პროგრამის ბიუჯეტი და ხანგრძლივად რამდენობა ბაიზარდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი 198 900 ლარამდე გაიზარდა, შესაბამისად სერვისით დამატებით 50-მდე ბენეფიციარი ისარგებლებს.



ეს. ჯამში, წელს პროგრამა 450-მდე სმენადაქვეითებულ პირზე გათვლილი, უკვე გაცემულია 380 ერთეული სმენის აპარატი.

პროგრამის მიმდინარეობის პროცესს აჭარის არაწამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილი გაეცნო.

მოსახლეობის მომართვიანობის გამო სამინისტრომ პროგრამის ბიუჯეტი გაზარდა. წელს პირველად დაიწყო პედაგოგიური ციფრული სმენის აპარატების დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლებს წარმოადგენენ შუშ პირები (მათ შორის ბავშვები), ნებისმიერი ხარისხის სმენადაქვეითებული ბავშვი, ხანდაზმული (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) პირები დიაგნოზით - ორმხრივი თანდაყოლილი ან შექცეული სიყრუე, ან სმენაჩუქვობა II-III ხარისხის, - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

პროგრამის ფარგლებში სმენის აპარატების მომსახურება ფინანსდება სრულად, არა უმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის: შუშ სტატუსის მქონე ხარისხის სმენადაქვეითების მქონე ბავშვის/მოსწავლის/სტუდენტისათვის - 1400 ლარით; პედაგოგიული ციფრული სმენის აპარატი - 1000 ლარით; სხვა ბენეფიციართათვის - 350 ლარით.

შემსახვეობითი ტური - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ახალი აქტივობა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი მუდმივად სიახლეებს რომ სთავაზობს ახალგაზრდებს, არაბალია. ამჯერად ცენტრმა მაჭახლის ხეობაში შეიმუშავა ტური დაგეგმა

როგორც ჩვენთან საუბარში ცენტრის ხელმძღვანელი ნატა ხინკლაძე ამბობს, ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში ჩანსალი ცხოვრების წესის პოპულარულიზაცია, მათ მიერ საკუთარი მუნიციპალიტეტის კულტურულ-ტურისტული პოტენციალის გაცნობა და ახალგაზრდების წახალისება.

მაჭახლის ხეობაში იგეგმება შეიმუშავებით ტური, რომელიც მოიცავს ლაშქრობას მთავარანგელოზის ბილიკზე, მაჭახლის ეროვნული პარკის დათვალიერებას გილის თანხლებით, ასევე, ვიზიტორთა ცენტრში სპეციალისტებთან საინფორმაციო შეხვედრას სახელწოდებით „ახალგაზრდა გიდი ხელვაჩაურიდან“. აქტივობის ფარგლებში, ტურის მონაწილე ახალგაზრდები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ადგილების - მუზეუმების, ხიდების, ეკლესიების, კულტურული ძეგლების, მდინარეების, დატვირთული ტერიტორიების, მათი სოფლის ისტორიის შესახებ ინფორმაციას თანატოლებს გაუზიარებენ. მონაწილეებისთვის გათვალისწინებულია წამახალისებელი ფასიანი საჩუქრები. ტურში მონაწილეობა შეუძლიათ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-22 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს. მონაწილეობისთვის საკმარისია გაიარონ რეგისტრაცია, ხოლო შერჩევა აპლიკაციის მიხედვით მოხდება. გათვალისწინებული იქნება მათი მოტივაცია, მზაობა - დაფარონ კილო-



მეტრობით მანძილი, მონაწილეობა მიიღონ ტურით გათვალისწინებულ აქტივობებში, - გვითხრა ნატა ხინკლაძემ.

შემუშავებითი ტური 9 ივლისსა დაგეგმილი.

აჭარაში ტურიზმის აღდგენის დინამიკა საკმაოდ მაღალია

პირველი გვერდიდან

ქედაში, ზედა მახუნცეთსა და ხარისსაწოლის იალაღებს ახალი საპიკნიკე ტერიტორიები დაემატება. დანდალოს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკიც მოეწყობა და ჩანჩქერი ტურისტულ მარშრუტში შევა. წელს კავიანის ნეკროპოლისთან სამთო ველობილიკიც გაიხსნება.

ვიზიტორებს მიიღებს ჯვარციხის მღვიმის ტურისტული თავშესაფრები, სადაც საშაპებები, საკოცონი და ღამისთვის სივრცეებიცაა მოწყობილი. ჭვანის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 10 მლნ ლარი აქვს გამოყოფილი. ამდენივე დაიხარჯება ჩირაქის მთაზე ევროპაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინის მოსაწყობად.

ხულოში, ხიხანის ციხეზე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა დაიწყო, ღორჯომში - საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. უჩხოს ხეობაში კანიონინგი ვითარდება. წელს კანიონინგთან მისასვლელი ბილიკები გაიჭრა და კეთილმოეწყობა, გადამზადდნენ და სპეციალური ფორმებით აღჭურვდნენ კანიონერები.

აჭარის კულინარიულ გზამკვლევაში 110-ზე მეტი აჭარული კერძის რეცეპტი განთავსდა. წიგნში ნაკლებცნობილი და მივიწყებული აჭარული კერძების, დესერტებისა და წასახმსებლების რეცეპტები, ფოტოები და კერძთან დაკავშირებული ტრადიციები შეტანილი.



ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობას, პრეს-ინფორმაციის ორგანიზებასა და სამიწივე ქვეყნებში სარეკლამო კამპანიებს აქტიურად აგრძობს.

ევროპაში პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations-მა ბათუმი ევროპის საუკეთესო ფარულ მარგალიტად დაასახელა და ევროპულ მიმართულებებს შორის პირველი ადგილი მიანიჭა. ბათუმი წამყვანი მედიამოცემების ყურადღების ქვეშ მოექცა. აჭარას მედიისა და ტურისტული კომპანიების 259 წარმომადგენელი სტუმრობდა. რეგიონის, როგორც ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებებზე, სტატისტიკა გამოქვეყნდა პოპულარულ ჟურნალებში.

რეგიონში ჯერ კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სერვისის დონე, რომელზეც ტურიზმის დეპარტამენტი მუშაობს აქტიურად აგრძელებს. მუდმივად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, მასტერკლასები და პრაქტიკული მეცადინეობები სექტორის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლისთვის, მათ შორის გიდებისთვის, სააგენტოებისთვის, განთავსებისა და კვების ობიექტებისთვის. სერვისის გაუმჯობესების მიზნით, აჭარაში წლიურად ტურისტული სექტორის 1000-მდე წარმომადგენლის გადამზადება ხდება.

თინათინ ზოიძემ შეკითხვებსაც უპასუხა. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, წარმოდგენილი ანგარიში და ინფორმაცია კომიტეტმა ცნობად მიიღო.

მოამზადა ანბა ჩხიკვაძემ

ქვარაყვანილი - რუსულ პრესას

რუსულმა გამოცემა „სპორტ-ექსპრესმა“ ხვიჩა კვარაყვანილისთან ჩაწერილი ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც „ნაპოლის“ მომავალი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრების შესახებ საუბრობს:

- რატომ გადაწყვიტეთ გარდა-მავალ პერიოდში „რუბინიდან“ „დინამოში“ გადასვლა?

- საქართველოში თამაში მინდოდა, რადგან ეს ჩემთვის ძალიან კარგი იქნებოდა.

- იმ ფაქტმა ხომ არ შთაგონა, რომ მთელი სტადიონი თქვენს თამაშის სანახავად მოვიდოდა?

- არამხოლოდ ჩემთვის. ბათუმში ფეხბურთი ძალიან უყვართ, გუნდის თამაშის საყურებლად დადიან და არამარტო ჩემთვის.

- საქართველოს ნაკრები თქვენი მონაწილეობით ბოლო მატჩებში ძალიან კარგად თამაშობს. როდის გავაჩერებლად მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატზე?

- შემოდგომა ვიქცე, რომ ეს ძალიან მაღელვებელია!

„მთავარი, გაცნობიერებული გეგმის, რისთვის და რატომ იბრძვი“

ლავა ხომიკი 593 50 82 69

ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვნად ზრდის ახალგაზრდების ნაყოფიერი საქმიანობა, სხვადასხვა სფეროში მათი აქტიურობა და ჩართულობა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში

ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქართული პოლიტიკური სპექტრის განახლება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა საქართველოში. მეოთხედი საუკუნეა, ერთი და იგივე სახეები შემოგვყურებენ პოლიტიკური არენაზე და ახლების გამოჩენას, გარკვეულწილად, აფერხებენ. ამ ფონზე განსაკუთრებით საგულბნობი და მისასალმებელია, რომ პოლიტიკურ არენაზე თანდათან ჩნდებიან პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც, იმედი, მალე გაიმყარებენ პოზიციებს და თავს დაიმკვიდრებენ.

ჩნდება კითხვები: რა გამოწვევები არსებობს ახალგაზრდებისთვის პოლიტიკაში მოხვლის გზაზე და რას ნიშნავს, იყო აქტიური ახალგაზრდა? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ალექსანდრე შიშია**.

- მოგვიყვით განვიღო გზაზე...

- დაახლოებით 15 წლის ვიყავი, როდესაც ქართული პოლიტიკის მიმართ ინტერესი გამჩნდა. მაგ დროისთვის, რა თქმა უნდა, სიღრმისეულად არ შემეძლო კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებში გარკვევა, მაგრამ ზედამხედველად რა-



და ყოველდღიურად სიამაყის განცდა მაქვს, ვრწმუნდები, რომ ამაზე კარგ არჩევანს ვერ გავაკეთებდი. ვთვლი, რომ აქ გავიზარდე, ავიმღ-

- როგორც აღვნიშნე, ჩემს ქალაქში საკმაოდ ბევრ ახალგაზრდას ვიცნობ, ვისთვისაც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა პრიორიტეტულია.

|| ეს იგივეა, ახალგაზრდებს განვითარების პერსპექტივა წაართვა და ამ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებას ხელისუფლება უკვე გაუზრდის. კანდიდატის სტატუსის მიღება ევროინტეგრაციის პროცესში უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, ევროინტეგრაცია კი ჯანსაღ განათლების სისტემას, ეკონომიკურ სტაბილურობას, მეტ სამუშაო ადგილს, დამოუკიდებელ სასამართლოს, მედიის, სიტყვის, თავისუფლების უპირობოდ დაცვას ნიშნავს. ამ ყველაფრის ხელიდან გაშვება უდიდესი დანაშაული იქნება

საც ვხედავდი, ეგეც საკმარისი აღმოჩნდა იმ აზრის ჩამოსაყალიბებლად, რომ ქართველი ერთ ბევრად უკეთესს იმსახურებს. ამ ასაკიდანვე გამჩნდა არსებული რეალობის შეცვლის შემართება და სურვილი, მაგრამ ამისთვის არც გამოცდილება და არც ცნობიერების შესაბამისი დონე მქონდა. თუმცა, გამაჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი - მოტივაცია და იმედი.

„ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხართ. რამ გადაწყვეტინათ ამ პარტიაში შესვლა?

- თავიდანვე ვიცოდი, რომ მიზნის მისაღწევად მჭირდებოდა შესაბამისი სოციალური ინტეგრირება. 19 წლამდე, პოლარიზებული გარემოს და მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, თავს ვიკავებდი რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებისგან, ვინაიდან მჭირდებოდა გარემო, სადაც ვიგრძნობდი, რომ იქ მყოფებისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ახალგაზრდების, ამ ქვეყნის მომავალი თაობის წარმომადგენლების განვითარება, თვითრეალიზება და მათთვის სწორი მიმართულებების მიცემა. მჭირდებოდა გუნდი, რომელთან ერთადაც პოპულარიზაციას გავუწყვედი სწორ იდეებსა და ხედვებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს განვითარებასა და პროგრესზე. 19-20 წლის ასაკში, ჩემი მეგობრის დახმარებით, აღმოვაჩინე გუნდი, რომელიც ჩემს „კრიტიკიუმებს“ აკმაყოფილებდა. „ლელო“ ჩემს მოლოდინებს გადააჭარბა კიდევ

ლე პოლიტიკური ცნობიერების დონე, ვიგრძენი, რომ აქ ადამიანები ერთსულოვნად იბრძვიან არსებული რეალობის უკეთესობისკენ შესაცვლელად. მახდენიერებს, რომ ამ დიდი ოჯახის სრულფასოვანი წევრი ვარ.

- რამდენად მნიშვნელოვანია, იყო აქტიური ახალგაზრდა ქვეყნის საკეთილდღეობა...

- უმნიშვნელოვანესია! იყო აქტიური ახალგაზრდა, ნიშნავს, იყო საქართველოს ნათელი მომავლის გარანტი. თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურ პრიორიტეტთა საკუთარი სია აქვს და ძალიან ბევრ ახალგაზრდას ვიცნობ, ვის ზემოხსენებულ სიაშიც ამ ქვეყნის კეთილდღეობა პირველ ადგილზეა და ეს მაიმედებს. სამწუხაროდ, მსგავს ახალგაზრდებს განვითარებაში ხელს უშლიან ის ძალები, რომლებსთვისაც ეროვნული ინტერესები მეათეხარისხოვანია. ჩამოშლილია განათლების სისტემა, რის გამოც ახალგაზრდებს ეუფლებათ უბერსპექტივობის განცდა. დღეს სტუდენტისთვის ყველაზე დიდ წარმატებად საზღვარგარეთ განათლების მიღება რომ ითვლება, ეს პირადად მე პრობლემად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, თითოეულს გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. სიძულვილის ენისა და ნიჰილიზმის თესვას სახელისუფლებო ძალებისგან კიდევ უფრო ინტენსიურად ვხედავდი, ეს უიმედობას იწვევს, ამიტომაც ცდილობენ ნიჰიტი ახალგაზრდების საქართველოდან წასვლას.

- როგორ შეაფასებთ ახალგაზრდების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობას?

ისინი აქტიურად არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულნი და დაუღალავად შრომობენ მიზნის მისაღწევად. ზუსტად გვაქვს გაცნობიერებული, რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდების როლი.

- რა ძირითადი გამოწვევებია ახალგაზრდების პოლიტიკაში მოხვლის თვალსაზრისით?

- როდესაც ახალგაზრდა იღებს პოლიტიკაში მოხვლის გადაწყვეტილებას, მას უნდა შექონდეს გაცნობიერებული, რომ წინ უამრავი გამოწვევა ელის. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა შეუშინდეს სტიგმებს და ნასროლ ტალახს, რადგან ამ მეთოდმა, განსაკუთრებით დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, დამიკვიდრა თავი და ადამიანების დისკრედიტაცია ყოველდღიურად ხდება.

- რა არის საჭირო, ახალგაზრდები უფრო მეტად რომ ჩაერთონ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში?

- ახალგაზრდებს სჭირდებათ მოტივაცია და ხელშეწყობა. საჭიროა სამოქალაქო შეგნების ამაღლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამაზე აქტიური მუშაობა.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ახალგაზრდების პოლიტიკაში მოხვლას გარკვეულწილად, „ძველი სახეები“ ბლოკავენ, რომლებიც 25 წელია, პოლიტიკაში „ლიფლიფებენ“...

- პირადად მე ეს „მოლივილი“ საზოგადოება მოტივაციას მძლევეს - მათ რომ ვუყურებ, ზუსტად ვხედავდი, როგორი პოლიტიკოსი არ უნდა ვიყო. ცვლილებები და სია-

ხლები საჭიროა, მას არ უნდა შეუშინდეთ, როცა ვხედავდი, რომ უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ერთი ადგილის ტყეპნით ვართ დაკავებული.

- მნიშვნელოვანი პროცესები ვითარდება ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ: სახალხო მოძრაობა პრემიერ-მინისტრის (ლარიბაშვილის) გადადგომის თხოვნა. რამდენად მიღწევადია ეს მოთხოვნა?

- ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, პრემიერის პოსტზე „ქართული ოცნების“ რეჟიმის დროს ლარიბაშვილი იქნება თუ მდინარაძე. ეს ის შემთხვევაა, როცა შესაძლებელია გადასაცვლით ჯამი არ იცვლება. ლარიბაშვილის გადადგომის შემთხვევაში მეორე ლარიბაშვილი მოვა და კვლავ ანტისახელმწიფოებრივი იდეის პოპულარიზაციით დაკავდება. მით უმეტეს, აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ კომპრომისზე წამოსვლას არ აპირებს.

- თუ მომავალში ევროკომისიამ კვლავ არ მოგვანიჭა კანდიდატის სტატუსი, ჩვენს ქვეყანას ეს რამდენად დაზარალებს სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით?

- შედეგები ფაქტურად იქნება! ეს იგივეა, ახალგაზრდებს განვითარების პერსპექტივა წაართვა და ამ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებას ხელისუფლება უკვე გაუზრდის. კანდიდატის სტატუსის მიღება ევროინტეგრაციის პროცესში უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, ევროინტეგრაცია კი ჯანსაღ განათლების სისტემას, ეკონომიკურ სტაბილურობას, მეტ სამუშაო ადგილს, დამოუკიდებელ სასამართლოს, მედიის, სიტყვის, თავისუფლების

უხსოვარი

სასურსათო კრიზისი არა ნატოს წევრი სახელმწიფოების მიერ დაწესებულმა სანქციებმა, არამედ პუტინის ომმა გამოიწვია, - ამის შესახებ ნატოს გენერალურ-



მა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. მისივე თქმით, სასურსათო კრიზისის გაგვინა მძიმეა, სურსათის ფასები რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს და ბევრი ქვეყანა უკრაინაზე დამოკიდებული ხორბლისა და სხვა საკვების იმპორტის კუთხით. „საუკეთესო გზა სასურსათო კრიზისის დასასრულებლად ომის დასრულებაა“, - აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

შედეგთა და ფინეთმა თურქეთისთვის მიცემული დაპირებები უნდა შეასრულონ, მათ შორის, ოფიციალური სტოკჰოლმის დაპირება 73 „ტერორისტის“ ექსტრადირებაზე, - განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. როგორც მან განაცხადა, კვლავ შეუძლია დაბოლოს შედეგთა და ფინეთის სწრაფვა ნატოსკენ, თუ ისინი ანკარასთან გაფორმებულ ახალ შეთანხმებას არ განახორციელებენ. „შედეგთა და ფინეთმა უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, მაგრამ თუ არ შეასრულებენ, რა თქმა უნდა, მათი ნატოში გაწევრიანების რატიფიკაცია ჩვენს პარლამენტში გამოირიცხება“, - აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ არაფერი აშფოთებთ ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით, თუმცა ამ ქვეყნებში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსების შემთხვევაში, მსოფლიო იძულებული გახდება, სარკისებური ზომით უპასუხოს. „მათთვის ადრე არავითარი საფრთხე არ იყო, ახლა იქ სამხედრო კონტინგენტებისა და ინფრასტრუქტურის განთავსების შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით, გუბასუხობთ სარკისებურად და შევექნათ ისეთივე საფრთხე ტერიტორიებისთვის, საიდანაც გვექმნება საფრთხე“, - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

სირიის მიერ დონეცისა და ლუგანსკის ოლქების ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარების გამო, უკრაინამ ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტა. „ამ არამეგობრული აქტის საპასუხოდ, უკრაინა წვეგებს დიპლომატიურ ურთიერთობებს სირიასთან საკონსულო ურთიერთობების გაწყვეტის გარეშე“, - ნათქვამია უკრაინის საგარეო უწყების განცხადებაში.

რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ სანქციის დაწესება შეიძლება განხილული იყოს, როგორც საერთაშორისო აგრესია მათი ქვეყნის წინააღმდეგ და ომის გამოცხადების საფუძველი. „გარკვეულ პირობებში, ასეთი მტრული ზომები შეიძლება განხილული იყოს როგორც საერთაშორისო აგრესიის აქტი და, თუნდაც, ომის გამოცხადების საფუძველი. რუსეთს აქვს უფლება, თავი დაიცვას“, - აღნიშნა მედვედევმა.



„ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების გზაზე შეიშალა

„ქართული ოცნების“ ოცნებებში გუშინ პოლიტიკოსების სხდომა გაიმართა. პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე საზოგადოებას ის გეგმა გააცნო, რომლის მიხედვითაც მმართველი გუნდი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ უნდა იქნას მიღებული პუნქტების უმეტესობა არის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი და მმართველი გუნდი უზრუნველყოფს მათ შესრულებას სათანადო დროში და სათანადო ხარისხით. შემუშავებულ გეგმას უცვლელად გადავაზოტ:



1. პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება - დათქმების პირველი პუნქტი უნდა განვიხილოთ როგორც ერთგვარი საფუძველი დანარჩენი 11 პუნქტის ეფექტიანად შესასრულებლად. პოლიტიკური პოლარიზაცია არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა, რომლის პირობებში პოლიტიკური დისკუსია, ნაცვლად სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხებისა, საზოგადოებისთვის მორჩილების ხეობაში გადატანის, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვის ვიწროპოლიტიკური დატვირთვა აქვს. ამ მოცემულობის შესაცვლელად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია შემცირდეს რადიკალური დაპირისპირება პოლიტიკურ ძალებს შორის და გამოცხადდეს ერთგვარი მორატორიუმი აგრესიულ რიტორიკაზე. რა თქმა უნდა, ჩვენ სრულად ვაძვირბეჭდებთ საკუთარ პასუხისმგებლობას ამ თვალსაზრისით. ანალოგიურად, ოპოზიციამ მომდევნო 6 თვის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოს იმგვარი რიტორიკისგან, რომელიც ხელისუფლების საშინაო და საგარეო ლეგიტიმაციის არაღიარების გულისხმობს. იგივე ენება მედიასაც, რომელიც ეუთო-ოდირის დასკვნის თანახმად, საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მავლარობისგან გამომდინარე უშუალოდ არის ჩართული. დეპოლარიზაციის ხელშეწყობა, საქართველოს პარლამენტის ბაზაზე შეიქმნება პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით, რომელიც განხორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს და საზოგადოებას წარუდგენს ყოველკვირეულ ანგარიშს პოლარიზაციის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ. მონიტორინგის ანგარიშში ასახება რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიების, მედიასაშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სხვა სუბიექტების მიმართ. მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შედეგად და მუშაობის ფორმატი დაუსტდება საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საფუძველზე. დეპოლარიზაციის კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო პარტნიორების პოზიციას და მათ სამართლიან და ჯანსაღ დამოკიდებულებას მავლარობისგან გამომდინარე. პირველი პუნქტის შესრულების კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

მდე, რის საფუძველზეც საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდება და საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება 1-ელ ნომერამდე. კანონპროექტი ინიციატივის თანავე დასკვნისთვის გაეზავნება ვენეციის კომისიასა და ეუთო-ოდირს. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა დაიწყება ვენეციის კომისიის და ეუთო-ოდირის დასკვნის მიღებისთანავე. კონსტიტუციური კანონის პროექტი გენერალური პროკურორის არჩევის წესის შესახებ საქართველოს პარლამენტში დაინიცირდება 1-ელ სექტემბრამდე, ხოლო პარლამენტის მიერ მიიღება არაუგვიანეს 29 ნომბრისა. კონსტიტუციური კანონის მიღებას კოორდინაციას გაუწევს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა შესარჩევ კონკურსს საქართველოს პარლამენტი გამოაცხადებს არაუგვიანეს 30 სექტემბრისა, ხოლო კენჭისყრა საბჭოს წევრთა ასარჩევად ჩატარდება არაუგვიანეს 15 ნომბრისა. შეგახსენებთ, რომ საბჭოს წევრთა ასარჩევად საქართველოს პარლამენტის წევრის ხმა. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის დათქმის შესაბამისად მათი არჩევის უზრუნველყოფა როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობაა.

განიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე.

7-8. სათანადო მედიაციის უზრუნველყოფა, უზრუნველყოფის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და მოწყობა ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაზე ეფექტიანი რეაქცია - პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჭიროებას ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ.

9. გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა - საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის და გენდერული თანასწორობის საბჭო წარმართავენ აქტიურ სამუშაო პროცესს, რათა მომზადდეს საკანონმდებლო წინადადებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კიდევ უფრო ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველყოფაზე. შესაბამისი კანონპროექტის პაკეტი პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა, ხოლო პარლამენტის მიერ მიიღება არაუგვიანეს 15 ნომბრისა.

10. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კოორდინაციას გაუწევს ევროკავშირის პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ეფექტიან ჩართულობას. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შენარჩუნება ევროკავშირის პირობებზე მუშაობის დასრულების შემდეგაც.

11. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების პროაქტიული გათვალისწინება ქართული სასამართლო მიერ - პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის აღსრულების პროცედურების გათვალისწინებით, შესაბამისი კანონპროექტს მოამზადებს და პარლამენტს ინიციატივის წესით წარუდგენს 1-ელ სექტემბრამდე. კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და მიიღებს არა უგვიანეს 18 ოქტომბრისა.

12. სახალხო დამცველის არჩევა - საპარლამენტო უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციას 1 სექტემბრამდე შესთავაზებს სახალხო დამცველის კანდიდატურების შერჩევის ინკლუზიურ პროცედურას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახალხო დამცველის პოზიციასზე იმგვარი პირის წარდგენა, რომელიც იქნება თანაბრად მისაღები უმრავლესობისა და ოპოზიციისთვის და შესაბამისად, მაღალი ლეგიტიმაციით იქნება არჩეული. კენჭისყრა სახალხო დამცველის ასარჩევად შედგება არა უგვიანეს 1-ლი დეკემბრისა. შეგახსენებთ, რომ სახალხო დამცველის არჩევა საჭიროებს სულ მცირე 90 პარლამენტის წევრის მხარდაჭერას. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის დათქმის შესაბამისად, მისი არჩევის უზრუნველყოფა თანაბრად არის როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობა, - განაცხადა კობახიძემ.

მომზადდა ია შამლიაძე

მწვანე ავტოზუსები ახლით ჩანაცვლდება

შიძრია რაგვაძე 579 25 25 72

რამდენიმე დღის წინ, აჭარის მთავრობის სხდომაზე, ცნობილი გახდა, რომ ბათუმს 60 ერთეული ახალი ავტოზუსები შეემატება. ბათუმის მერიის ინფორმაციით, ახალი ავტოზუსები სრულიად თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მქონე, შპმ პირთათვის ადაპტირებული და, ასევე, გათბობისა და კონდიციონერების სისტემით აღჭურვილი იქნება. სახელსთან დაკავშირებით, გაზეთი „აქარა“ ბათუმის ავტოტრანსპორტის დირექტორს ვაგუსებრა ლევან ლაზარიაშვილის თქმით, ტრანსპორტის შემოყვანა მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება.



ახალი ავტოზუსებით ბათუმში მოქმედი მწვანე მუნიციპალური ტრანსპორტი ჩანაცვლდება. მგზავრებისთვის იქნება მეტად კომფორ-

ტული და უსაფრთხო. როგორც იცით, zondas-ს წარმოების ავტოზუსები გადაადგილდება ქალაქში, მწვანე ფერის, შედარებით ძველი, ვიდრე სხვა ტრანსპორტი, ამიტომაც ეს ავტოზუსები ჩანაცვლდება ახლით, აღნიშნული მარკის ავტოზუსების გამოშვების თარიღი 2008-2009 წელია, შესაბამისად, განახ-

ლებას საჭიროებს. ამიტომაც ავტოპარკის სრულად განახლების მიზნით, ახალი ავტოზუსების შესყიდვა დაიგეგმა. ჩანაცვლებულ ავტოზუსებს რაც შეეხება, ექსპერტთა შეფასებას და მათი დასკვნის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება აღნიშნული სტანდარტით საშუალებების შემდგომი გამოყენების თაობაზე.

ქალაქში რა მიმართულებით გადაადგილდებიან ის ავტოზუსები, რომლებიც განახლებას საჭიროებენ?

- №2, №2ა, 4, 8, 9, 11, 12ა - ეს ავტოზუსებია, რომლებიც ჩანაცვლდება ახლით. ცნობისთვის: №2 ავტოზუსები ადღის ქუჩიდან ახალშენის მიმართულებით გადაადგილდება, 4 და 8 ნომერი - აღმაშენებლის ქუჩიდან სვიშევსკის ქუჩამდე და

ბუსის გადაადგილების გრაფიკის დამატებაზე, აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ბათუმში ავტოზუსის მოსაცდელი რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა თუ იგეგმება?

- ამჟამად ავტოტრანსპორტის ბალანსზე 15 მოსაცდელია, ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს მოკვლევა, რომლის შემდეგაც, ისევე ისევე მოქალაქეების მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდება მონტაჟი. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული თანამედროვე სტანდარტების მოსაცდელია ექსპლუატაციას შპს „ალმა“ ახორციელებს.

რაც შეეხება იმას, თუ რა თანხა დაიხარჯება ახალი ავტოზუსებისთვის, უწყვეტად განმარტეს, რომ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს და ყველა დაუსტებული ინფორმაცია დაანონსდება შესაბამისი სამსახურის მიერ.



«ქარბა მოსწავლეებმა და აქტიურმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს ნარმატიული მასწავლებლად»

ციური აბაშიძე დარჩიების საჯარო სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგია. წელს გამართულ «მართების» სახალხო დღესასწაულზე მას ხეობის საუკეთესო მასწავლებლის სიგელი გადასცეს. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია

დარჩიების საჯარო სკოლა ჩვენი თანასოფელის, ცნობილი ექიმის თემურ ცეცხლაძის სახელს ატარებს. აჭარის მთიანეთში სკოლა «ექიმთა სამშენებლო» მონათლულია. პირველი ექიმი დიმიტრი ცეცხლაძე უკვე 80 წლისა და არჩეულ პროფესიას დღესაც უმწიკვლოდ ემსახურება. იგი აფხაზი პოეტის მოსწავლას სიძეა. მისი მეუღლე ლენა გვასალია ექიმა. მათ წლები გაატარეს აჭარის მთიანეთში და ღირსეული დასტაქრების სახელი დაიმკვიდრეს. კიდევ ორმოცამდე ექიმა ამ სკოლის კურსდამთავრებული. გვეამაყება, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები იყვნენ - საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი შოთა ცეცხლაძე, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ნოდარ ცეცხლაძე, ბიზნესმენები დავით ფუტყარაძე, ლევან აბაშიძე. განათლების სისტემის ღირსეული ორგანიზატორების სახელი დატოვებს სკოლის ყოფილი დირექტორები სერგო ცეცხლაძე, იოსებ აბაშიძე, კუკური ცეცხლაძე, ალექსანდრე ბერიძე. ახლა მათ გზას დავით სურმანიძე აგრძელებს.

საქველმოქმედო ფონდი «შუბანი» თქვენმა თანასოფლელებმა დააარსეს?

დიახ. მისი დამფუძნებლები არიან ავთო აბაშიძე, დიმიტრი, ბადრი, დათო ცეცხლაძეები, ალიოზა ბაკურიძე და სხვები. ფონდის ხელმძღვანელი დარჩიებისა და შუბანში ქართული ღირსეულობის სექციები გაიხსნა. ბიჭებს არკადი ფუტყარაძე ავარჯიშებდა და საწყის ეტაპზე წარმატებებიც ჰქონდა. წელს 73-კილოგრამიანი წონით კატეგორიაში რჩარდ ფუტყარაძე აჭარის ჩემპიონი გახდა. არკადის უკვე გოგონა ზოიძე ჩანაცვალა. მისი იმედი გვაქვს.

ფონდი მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის ძირძველ მრწამსთან დაბრუნებას დიდ ყურადღებას უთმობს...

ქვეყნის ოცამდე კლინიკასა და უცხოეთში ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები ექიმებად მუშაობენ, მათგან ხუთი მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორია. მათი და სხვების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სოფელს, ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ხშირად ვგეტყობენ სკოლაში. დარჩიების საჯარო სკოლას, როცა თემურ ცეცხლაძის სახელი მიეკუთვნა, 150-ზე მეტი აღამიანი ესტუმრა. მომავალი წლიდან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, სკოლის ახალი შენობის აგებას გვპირდებიან. პროექტი უკვე შესყიდულია. ფონდის დამსახურებაა, რომ ცნობილი ქართველოლოგის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სახელი მიეკუთვნა შუბნის საჯარო სკოლას. უკვე მრავალმა დარჩიებულმა გაითავისა, რომ ჩვენი ხსნა მართლმადიდებლობაშია. ვვარა, რომელიც სოფლის საჩინო ადგილზე აღიმართა, ძირძველ მრწამსთან დაბრუნების დასტურია. უკვე დაწყებულია მოძრაობა, რომ შუბნის რომელიმე სოფელში ეკლესია აშენდეს. ინიციატორები მალე პატრიარქისა და სხალთის ეპარქიის მღვდელთაგანის კურთხევასაც მიიღებენ.

სკოლის, პედაგოგების როლზე რას იტყვით?

ჩვენი ვალაა ის დიდი საქმეები გავაგრძელოთ, რასაც თაობებმა ჩაუყარეს საფუძველი საუკუნის წინ. ახლანდელი მართვის ხეობაში პირველი ქართული სკოლა 1915 წელს სოფელ ოლადაურში აღდგა. ახლა ხეობაში თხუთმეტამდე სამსაფეხურიანი და 6 ორსაფეხურიანი საჯარო სკოლა, რამდენიმე ფილიალი. სკოლაში 20-მდე მასწავლებელი ვართ და თითქმის ყველა სერტიფიცირებულია. ჩვენი კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებ-

ენ. ფონდი «შუბნის» სიკეთით რამდენიმე სოციალურად დაუცველი სტუდენტის ოჯახში ისარგებლა. მტკივნეულია, რომ ამ ფონზე მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძობლად კლებულობს. «მთის კანონი» სხვა ხელშეწყობი ღონისძიებები მიგრაციის პროცესს ვეღარ აჩერებს.

რატომ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია?

ჩემთვის დღემდე გამორჩეული და უსაყვარლესია გეოგრაფიის მასწავლებელი ვლადიმერ ფუტყარაძე. მისმა პროფესიონალიზმმა, მოსწავლეებთან ურთიერთობის გამორჩეულმა უნარმა განაპირობა ჩემი არჩევანი. 1996 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვაყავი. სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი გამოდგა, რომ კონკურსი დამეძლია.

რას მთავარი, რომ იყო წარმატებული მასწავლებელი?

მარტო გეოგრაფია როდი მიტაცებდა, სხვა საგნებსაც კარგად ვსწავლობდი იმ პედაგოგების დამსახურებით, რომლებიც ჩვენს განათლებაზე ზრუნავდნენ. სწავლას დღესაც არ ვწყვეტ. ვცდილობ, მოსწავლეებს გადავცემა, რაც მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისთვის სასარგებლოა. ვერ ვიტან სხვისი გამოცდილების ზუსტად გადმოტანას. ყოველთვის ვცდილობ, მეტი მოვიძიო, რაღაც შევცვალო, მოსწავლეები დავაინტერესო. კლასში მოსწავლეებთან ხალისიანი შევედივარ და ასეთივე განწყობით გამოვდივარ - ჩვენ კარგად ვუვებთ ერთმანეთს. ყოველთვის ვცდილობ, აღსაზრდელს მაქსიმუმი გადავცე და მისგანაც მეტი მივიღო. პარალელურად, გეოგრაფიის შუბნის საჯარო სკოლაშიც ვასწავლი. ერთ შემთხვევასაც ვერ გავიხსენებ, რომ მათთვის საინტერესო თემაზე არ მესაუბროს. კითხვა პასუხაუცემელი დამეტოვებინოს. ორივე სკოლაში საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკები, კომპიუტერული კაბინეტები გვაქვს. მოსწავლეებთან ერთად ვმუშაობ კომპიუტერთან. ამ მეთოდით საკუთარ ცოდნასაც ვამდიდრებ



და მოსწავლეებიც კმაყოფილი რჩებიან.

ხეობის წარმატებული მასწავლებლის წოდება მოგნიჭათ...

ნამდვილად არ ველოდი. დიპლომი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯემალ სურმანიძემ «მართების» დღესასწაულზე საზეიმოდ გადამიცა. ეს პატივიცა და პასუხისმგებლობაც. სოფლის სკოლის მასწავლებელს სათანადო დაფასება მაქვს. იქ მე ოჯახით ვცხოვრობ. დრო, რომელიც აღმზრდელობით მუშაობას მოვანებებ, საკმარისი გამოდგა, რომ მეზობლებისთვისაც «ცოფური მასწავლებელი» ვაგმადარიყავი. კარგა მოსწავლეებმა და აქტიურმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს წარმატებულ მასწავლებლად. ახლა წამყვანი მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად გამოცდებზე დავრეგისტრირდი. იმედია, ამ ბარიერს დავძლევ. მსურს მენტორი მასწავლებლის საპატიო წოდების მოსაპოვებლად ვიბრძოლო. რამდენიმე დღის წინ ის ათეული ვახდა ცნობილი, რომელიც საქართველოს საუკეთესო მასწავლებლის სტატუსისთვის

იბრძოლებს. საამაყო. რომ ათეული ორი აჭარის მთიანეთის მკვიდრია. ყველა პედაგოგის, მათ შორის ჩემი ოცნებაცაა, ვიყო ქვეყნის საუკეთესო მასწავლებლის წოდების მატარებელი.

ოჯახზე რას გვეტყვით?

ცხოვრების მეგ ზური მყავს. უფლის ნებით, დედაც ვაყვარებ. ოჯახური იდილიას გამორჩეული მნიშვნელობას ვანიჭებ. მეუღლე სპეციალობით ის-ტორიკოსია, თუმცა ამ განხრით არ მუშაობს.

ახალგაზრდობა სოფელს ტოვებს. თქვენც ხომ არ აპირებთ ბარში გადასვლას?

გულწრფელად ვიპასუხებთ, ალბათ, მეც მალე ბარის რაიონში ან ბათუმის რომელიმე სკოლაში გადავალ მასწავლებლად.

რას მთავარი, რომ ადამიანებს უყვარდეთ?

თავმდაბლობა, სულიერი სიძლიერე, მრწამსის ერთგულება და არა ფიზიკური აღნაგობა, თუნდაც, ფინანსური მდგომარეობა. ადამიანებს შორის სულიერი თანხვედრა თუ არ არის, სიყვარულზე საუბარი ზედმეტია.

სარეზერვუარად - თამარაშვილის ფონდს

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაკრულ მიხეილ თამარაშვილის ფონდს სარეზერვუარად მიხეილ თამარაშვილის არქივის კიდევ ერთი ნაწილი, კერძოდ, თამარაშვილის მიერ გადაღებული კასტელის ჩანახატები და ამ ჩანახატების თამარაშვილისეული ანოტაციები და განმარტებები გადაეცა.



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მადლყოფილადსამღვდლო მეუფე დიმიტრის მადლობას უხდის უმნიშვნელოვანესი მასალებისთვის, რომელიც ცენტრისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის უდიდესი შენატონია.

უმნიშვნელოვანესი მასალები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სარეზერვუარად დათმობისა და ლაზრეთის მიტროპოლიტმა დიმიტრის (შოთაშვილი) გადასცა, რომელიც შიოლაშვილების ოჯახში იყო დაცული.

მნიშვნელოვანია, რომ მთლიანი მასალა მისი უწყინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძმისწულმა გიორგი (გოგი) შიოლაშვილმა დაახარისხა, ხოლო გოგის უმცროსმა ძმამ მიტროპოლიტმა დიმიტრის ის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა, რითაც ცენტრში დაკრული მიხეილ თამარაშვილის ფონდი მნიშვნელოვნად გამდიდრდა.

«სოფლის სახლის» შენობას აკომონტაჟენ

«სოფლის სახლი» ახალდაბაში, სადაც წლების განმავლობაში კლუბი და ბიბლიოთეკა იყო განთავსებული, დროის მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. შუახევის მუნიციპალიტეტის

ხელმძღვანელობამ მისი რემონტისა და სოფლის ცენტრში არსებულ წყაროსთან ფანჯატურის გასაყვებად 134 ათასი ლარი გამოყო. საკონკურსო შერჩევის შემდეგ

შენობის სარემონტო სამუშაოებს შპს «დიდი გზა» (დირექტორი ჯაბა პაქსაძე) შეუდგა. დროებით რამდენიმე აღამიანი დაასაქმეს. შენობის მეორე სართულზე სოფლის ხელმძღვანელის სამუშაო ოთახი, კაბინეტები განთავსდება, პირველი სართული კი მასობრივი ღონისძიებებისთვის იქნება განკუთვნილი.

სარემონტო სამუშაოები შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებმა თენგიზ ივანაძემ, მალხაზ ტაყაიძემ დათავალაქეს და მოიწონეს. შპს «დიდი გზა» მალე ფანჯატურის მშენებლობასაც დაიწყებს. ორივე ობიექტი ექსპლუატაციაში შემოდგომაზე შევა.



ზურაბ სინსქილაძე - შუახევში

პოეტ ვახტანგ გოგრაჯაძის ორგანიზებით, ახალგაზრდული კინოფესტივალი «აჭარული ამბები» მალე გაიმართება. პროექტის მიხედვით გრძელდება სხვადასხვა აქტივობები. მსახიობი ზურაბ ცინცილაძე ფესტივალის მონაწილეებს შეხვდა. საუბრები გაიმართა კინოხელო-

სპორტის სამინისტროს საგრანტო პროექტების ფარგლებში.

შუახველ ახალგაზრდა შემოქმედებთან საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრა გვქონდა. დამინტერესდა ლინდა და ანრი მუთითების შემოქმედებამ. მადლობის მეტი რა გვეთქმის ვახტანგ გოგრაჯაძის მი-



გნებისა და სამოყვარულო ფილმების შესახებ.

პროექტი ხორციელდება აჭარის განათლების, კულტურისა და

სამართით. მან უკვე რამდენიმე აქტივობას სათავე დაუდო, რაც სხვებმა არ უნდა მიიწერონ, - გვითხრა ზურაბ ცინცილაძემ.

შუბ პირთა უფლებების დასაცავად

ასიამ ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის წარმომადგენლებმა თომა კაკაბაძემ, რამინ მაჭარაშვილმა, ნანა დიასამიძემ, დავით ანანიძემ შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

საუბარი შეეხო ასიამ ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის საქმიანობას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და გაცნობას, ასევე, შუახევის მუნიციპალიტეტსა და ასიამ ბათუმის დამოუკ-

ილებელი ცხოვრების ცენტრს შორის სამომავლო თანამშრომლობას.

ყოალიცა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და «მაკ ჯორჯია» აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური ხელშეწყობით ახორციელებს პროექტს «დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა საქართველოში».

ცენტრის წარმომადგენლებმა არაერთ პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარაძემ

ინსტიტუტის ეპოქა

„იბედასკრუხული დავრჩით, რომ ამ ინსტიტუტმა გადაფარა ჩვენი ღონისძიება, რომლის არარსებობა იყო და აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა“

საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი საელჩოს ტერიტორიაზე „ქართული ოცნების“ წევრ ანრი ოხანაშვილსა და ტელეკომპანია „პირველის“ დამფუძნებელ ვატო წერეთელს შორის მომხდარ დაპირისპირებას გამოეხმაურა.

„ჩვენ ამ ინფორმაციას ვსწავლობთ. არ ვიცი, თუ დაიწყო რაიმე კონკრეტული სამართლებრივი პროცესი ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ვიტყვი, რომ ძალადობა არის მიუღებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლო პერიოდში ვხედავთ ასეთ შემთხვევებს მედიის წინააღმდეგ. ასევე, შეფუთვით ვართ



ცნობებით იმის შესახებ, რომ რეგიონებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობა ხდება. ძალიან შემაშფოთებელია, როდესაც ძალადობით ხდება ხელის შეშლა ადამიანის უფლებების,

რაც გულისხმობს შეკრების თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას და ასე შემდეგ. გუშინ მართლაც არაჩვეულებრივი ღონისძიება გვექონდა, ძალიან პოზიტიური, სადაც ძალიან ბევრი ქართველი შეიკრიბა, ჩვენ კიდევ ერთხელ გვიხლოდა ხაზი გაგვესვა იმისთვის, რა მნიშვნელოვანია, როდესაც ქართველები ევროატლანტიკური მისწრაფებებისთვის ერთიანდებიან. ცოტა იმედგაცრუებული დავრჩით, რომ ამ ინციდენტმა გადაფარა ჩვენი ღონისძიება, რომელიც მართლაც არაჩვეულებრივი იყო და აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა“ - განუცხადა დეგნანმა

შურნალისტებს.

ცნობისთვის: „ტვ პირველის“ დამფუძნებელი ვატო წერეთელი აცხადებს, რომ აშშ-ის საელჩოს ტერიტორიაზე „ქართული ოცნების“ დემონსტრაციის დანერგვა და ფიზიკურად გაუსწორდნენ. მისი თქმით, მას ფიზიკური შეურაცხყოფა ანრი ოხანაშვილმა მიაყენა, ინციდენტში ასევე მონაწილეობდნენ „ქართული ოცნების“ სხვა დემონსტრატები.

„ქართული ოცნების“ წევრი ანრი ოხანაშვილი კი აცხადებს, რომ ვატო წერეთლის მხრიდან უბედურების პროვოკაციას ჰქონდა ადგილი და „მიიღო ის პასუხი, რასაც იმსახურებდა“.

„ეს იყო უმძიმესი პროვოკაცია და ახას ეთიკისა და კანონის ღონეზე გაეცა შესაბამისი პასუხი“

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დასრული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მსგავს პროვოკაციას მასაც ანალოგიური პასუხი ექნებოდა.

„რაც შეეხება გუშინდელ სამუშაო ინციდენტს, ყველა ამ იცის ამ ინციდენტის დეტალები - რა როგორ მოხდა. ძალიან სამწუხაროა, რომ უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც კონკრეტული საელჩოს ტერიტორია გახდა პროვოკაციის მოწყობის არე-

ლი. ეს არის ძალიან სამწუხარო. რაც შეეხება გაგრძელებას, ესეც მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ ადამიანმა კანონისა და ეთიკის ფარგლებში მიიღო პასუხი და მისი პროვოკაცია არ დარჩა პასუხგაუცემელი. რაც შეეხება მანდატების დატოვებას, აბსურდია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ იყო უმძიმესი პროვოკაცია და ამაზე კანონისა და ეთიკის ფარგლებში მიიღო პროვოკატორმა პასუხი; ამას სჭირდება სათანადო რეაგირება“, - განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, კობახიძის განმარტებით, მისთვის ცნობილია ის



ფრაზა, რომელიც ვატო წერეთელმა

ლმა ანრი ოხანაშვილს უთხრა, თუმცა მას, ეთიკური მიზნით გამოდინარე, ვერ გაიმეორებდა.

„ვერ დავუშვებთ აჭუტას“ დონეზე. ეს არის ძალიან მარტივი რამე. ჭუჭუტას დონეზე არ დავუშვებთ არასდროს. ანრი დონეზე ვარ ახლაც. ეს იყო უმძიმესი პროვოკაცია და ამ პროვოკაციას ეთიკისა და კანონის დონეზე გაეცა შესაბამისი პასუხი. შესაბამისად, ჩემი პოზიცია ნათელია, მეც იგივეს გავაკეთებდი, რა თქმა უნდა“, - განაცხადა კობახიძემ.

მომავალში ამირან გუბანიძემ

მხედველობა რომ არ გვიბრუნდეს...

მთავარი პილაში 593 73 45 74

საყვარელ ადამიანს ძველად პირადობა დენ, თვალისხიზივით გავიფრთხილდებით, იმდენად მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენგანისთვის მხედველობა (ხიზი)

მხედველობას ახალგაზრდობიდანვე უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან არსებობს მთელი რიგი დაავადებებისა, რომლებსაც შეუძლია მხედველობა წაგვართვას. ამიტომ აუცილებელია პირველივე სიმპტომის გამოვლენიდან თვალის დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ასაკთან ერთად იმატებს თვალის დაავადებების განვითარების რისკიც. მათგან ყველაზე გავრცელებულია:

კატარაქტა - თვალის ლორწოვანი გარსის ანთება, რომლის დროსაც მხედველობა დაბინდულია. ასაკობრივი კატარაქტა მხედველობის დარღვევის და სიბრძნვის მთავარი მიზეზია მთელ მსოფლიოში;

დიაბეტური რეტინოპათია - დიაბეტის დროს სისხლში შაქრის მომატებული დონე იწვევს ბადურას სისხლძარღვების დაზიანებას;

მშრალი თვალის სინდრომი - ცრემლის უკმარისობა თვალის გამოშრობას, დისკომფორტს და მხედველობის დარღვევას იწვევს;

გლაუკომა - დაავადებათა ჯგუფია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხედველობის ნერვის პროგრესირებადი დეგენერაცია (მხედველობის ნერვს ვიზუალური ინფორმაცია თვალებიდან ტვინისკენ მიაქვს);

ყვითელი ხალისი (მაკულა) დეგენერაცია - მაკულა ბადურას ცენტრალური ნაწილია. ასაკდამოკიდებული მაკულური დეგენერაცია სიბრძნვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია განვითარებულ ქვეყნებში.

არსებობს ოქროს წესი, რომლის დაცვა თვალის განვითარებას შევინარჩუნებთ: იკვებეთ ჯანსაღად და მრავალფეროვნად -

თვალის განვითარებისთვის აუცილებელი ნივთიერებები ძირითადად საკვებიდან მიიღება.

1. ვიტამინი - სასიცოცხლოდ აუცილებელია თვალში არსებული სინათლის აღქმული უჯრედების (ფოტორეცეპტორების) გამართული მუშაობისთვის. მისი ნაკლებობისას ვითარდება ღამის (ქათმის) სიბრმავე, თვალის სიმშრალე და კიდევ უფრო მძიმე გართულებები. A ვიტამინი მხოლოდ ცხოველური წარმოშობის საკვებში მოიპოვება (ღვიძლი, კვერცხის გული, რძის ნაწარმი), თუმცა მისი მიღება შესაძლებელია მცენარეული ანტიოქსიდანტებიდანაც - A პროვითამინის კაროტინოიდების სახით, რომლებიც აკმაყოფილებს A ვიტამინის მოთხოვნილების 30%-ს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბეტა-კაროტინი, რომელიც სტაფილოში, კომბოსტოსა და ისპანახშია.

2. ლუთენინი და ზეაქსანთინი ყვითელი კაროტინოიდული ანტიოქსიდანტებია, რომლებსაც მაკულურ პიგმენტებსაც უწოდებენ. ისინი კონცენტრირებულია ბადურის ცენტრალურ ნაწილში არსებულ ყვითელ ხალში, რომელიც სინათლის აღქმული უჯრედებისგან შედგება. ეს ნივთიერებები იცავს თვალს შხის ულტრა-ისფერი გამოსხივებისგან. მათ შეიცავს ისპანახი, ჭარხლის ფოთლები, ყვავილოვანი კომბოსტო, ოხრახუმი, მწვანე ბარდა, კვერცხის გული, შავი ყურძენი...

3. თვალის განვითარებისთვის აუცილებელია ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები - EPA და DHA. ეს უკანასკნელი ბევრია ბადურაში და ბავშვობაში თვალისა და ტვინის განვითარებაში მონაწილეობს. მისი დეფიციტი მხედველობის დარღვევას იწვევს. ამ ცხიმოვან მჟავებს შეუძლია მშრალი თვალის სინდრომის შემცირება, დიაბეტური რეტინოპათიის პრევენცია. ომეგა-3-ით მდიდარია ცხიმოვანი თევზი.

4. გამა-ლინოლენის მჟავა (ომეგა-6) ანტი-

ნთებითი თვისებებით ხასიათდება, საკვებ რაციონში მეტად მცირე რაოდენობითაა. ყველაზე მდიდარია საღამოს ფურისულას და ჭარხალას ზეთი.

5. თვალს ძალიან სჭირდება C ვიტამინი. თვალის სითხეებში გარემოში C ვიტამინის კონცენტრაცია უფრო მაღალია, ვიდრე ორგანიზმის ნებისმიერ სხვა სითხეში. ამ ვიტამინით მდიდარია ციტრუსი, ბროკოლი, ტატილი წიწკა, ყვავილოვანი კომბოსტო...

6. E ვიტამინი ცხიმში ხსნადი ანტიოქსიდანტია, რომელიც ცხიმოვან მჟავებს მავნე ფუნქციონირებას იცავს. ვინაიდან ბადურაში ცხიმოვანი მჟავა ბევრია, E ვიტამინის ადეკვატური მიღება საჭიროა. მისმა დეფიციტმა შესაძლოა, ბადურას დეგენერაცია და სიბრმავე გამოიწვიოს. E ვიტამინით მდიდარია ნუში, მწესუმწირის თესლი, სელის ზეთი...

7. თვალში დიდი რაოდენობითაა თუთია (Zn) - კომპონენტი მრავალი შეუცვლელი ანტიოქსიდანტური ფერმენტისა. თუთია მონაწილეობს ბადურის მხედველობის პიგმენტების ფორმირებაშიც. ამიტომ მისი დეფიციტი ღრმა სიბრმავეს იწვევს. ამ ელემენტით მდიდარია ხორცი, ზღვის კიბორჩხალა, გოგრის თესლი, მიწის თხილი...

შეინარჩუნეთ ნორმალური წონა - სიმსუქნის დროს იმატებს დიაბეტის რისკი, რასაც თან სდევს რეტინოპათიის და გლაუკომის განვითარების ალბათობაც.

რეგულარულად ივარჯიშეთ - დაგეგმირებათ დიაბეტის, არტ. წნევის და ქოლესტერინის დონის კონტროლი.

ატარეთ შხის სათვალე - შხის გამოსხივებას შეუძლია გაზარდოს კატარაქტისა და ბადურის დეგენერაციის განვითარების რისკი. სათვალე უნდა ბლოკავდეს ულტრაიისფერ A და B სხივებს თითქმის 100%-ით.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მონაწილეობა მიიღო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრის თანამშრომლობით გამართული კონფერენციისა და ტრენინგის ოფიციალური დახურვაში, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების საკითხებს მიეძღვნა, - ამის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოსვლაში ვიცე-პრემიერმა ყურადღება გაამახვილა ენერგეტიკულ რეფორმაზე, რომელიც ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან საქართველოს მიერთების შემდეგ ხორციელდება და მიზნად ისახავს ადგილობრივი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზებას და ქვეყანაში ევროპული რეგულაციების დამკვიდრებას. ლევან დავითაშვილის თქმით, საქართველო აგრძელებს განვითარებას ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა აშშ-ისა და ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერის მნიშვნელობას, რომელიც მიმართულია საქართველოს ენერგეტიკის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისკენ. მინისტრის თქმით, ქვეყანაში უნდა გაიზარდოს საკუთარი ენერგეტიკული რესურსების ათვისება, მათ შორის, განახლებადი ენერჯის წყაროების, აგრეთვე დაინერგოს თანამედროვე ენერგეტიკული ტექნოლოგიები. ლევან დავითაშვილის განცხადებით, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ითვალისწინებს ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას და ენერგოეფექტურობის პროექტების განხორციელებას.

ამირან გუბანიძემ



ნუ მოწვეთ, ასაკის მატებასთან ერთად აკონტროლეთ თქვენი მხედველობა, დიაცავით ჰიგიენა კონტაქტური ლინზების გამოყენებისას... თვალის სჭირდება დასვენება - კომპიუტერთან მუშაობისას სწორად დაახამხამეთ თვალეტი, 20 წუთში ერთხელ 20-30 წამით გაიხედეთ რაც შეიძლება შორს (საუკეთესოა ზღვის ჰორიზონტის ცქერა).

თვალის პრობლემები დროულად რომ აღმოვაჩინოთ, საჭიროა მხედველობის შემოწმება. ამ დროს ტარდება რამდენიმე ტესტი: პერიფერიული ანუ გვერდითი მხედველობის შემოწმება - მისი დაკარგვა გლაუკომის ნიშანია; მხედველობის სიმახვილობის შემოწმება მხედველობის ცხრილის საშუალებით; ტონომეტრია - თვალში წნევის გაზომვა გლაუკომის გამოსავლენად; დილატაცია - ექიმს თვალის გაფართოების ფონზე ათვალის ნერვს ბადურას, ყვითელ ხალს, მხედველობის ნერვს.

რეფრაქციის პრობლემის დროს ტესტს ატარებენ სპეციალური, სხვადასხვა სიმძლავრის ლინზებით, დგინდება ყველაზე მკაფიო მხედველობის ლინზა და შეირჩევა საჭირო სათვალე ან ლინზა.

ასე რომ, კვლევების დაწყების ასაკი და სისხირე, ცხოვრების წესი არის როგორც არაერთი ქრონიკული დაავადების პრევენციის შესაძლებლობა, ასევე თვალის დაავადებებისაც.

გისურვებთ, არასოდეს დაგეგაროთ თვალის ხიზი!

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი	გამომცემი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ სომარიკი	რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემი - შპს «ბაზეიტი აპარა და ალქარია» კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი» მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშვილის ქ. №3	მისამართი: 6000, გათუბი, გრიგოლიძის ქ. №2 ტელ: 27-13-31 ინფო და დაკავშირება გაზეთ აპარის ქომა. ცენტრი დასაბუღავ ხელმძღვანელი 1/07/22, 21 წ. სთ.	ლიტერატორი გამუკა პერიკი
--	--	---	--	--	---



ჭოროს იქითა და აქითა ქართველების თვალსაზრისით ჩახუტება - მწერალთა სახლში

აჭარის მწერალთა სახლში თურქეთელ ქართველებს უმასპინძლებს. აქ იმყოფებიან თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ საქარას ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) კულტურის ასოციაციის დამფუძნებლები ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე) და მუსტაფა კოლატი (ილია კოლოტაშვილი).

ისინი იქაურ მუშაობებს ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას აცნობენ. ორივეს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოსთან. მათ თან ახლდათ სათვისტომოს წევრები, მათ შორის, არაერთი სერიალიდან ბევრისთვის ცნობილი მსახიობები (ჩვენებურები) თიმურ აჯარი და ჩეთინ ქაია, ასევე მეჰმეტი (მითი კახიძე), იუსუფ დემირიოღლუ (მუქედლიძე), ოზან ნიშანჯი, ბარბაროს ჯანერ საღორღლუ (კახიძე), ნეჟმეტინ ტიქნაზ (კახიძე), იდრის მისირლიოღლუ (კახიძე), მეჰმეტ უჩარი, ასევე ჩვენს თანაქალაქელს, სტამბოლის ბეიქოზის რაიონში არსებული ბეიქოზის ქართული კულტურის საზოგადოების კულტურის ელჩი მერი დი-

ასამიძე, რომელიც ამავე რაიონის ქართული ენის საკვირაო კურსების მასწავლებელია. ასოციაცია, რომელიც 2018 წელს დაფუძნდა, ნამდვილ ქართულ საქმეს აკეთებს. ითარგმნა არაერთი წიგნი ქართულიდან თურქულად და პირიქით.

როგორც აჭარის მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელოძემ გვითხრა, მათი სტუმრობის მიზეზი იყო სამი ძალიან ძვირფასი წიგნის აჭარის მწერალთა სახლისთვის საჩუქრად გადაცემა. ეს არის ახლახან თურქულ ენაზე თარგმნილი „მამოლუქი“, ფრიდონ ხალვაშის „ომრი“ (ადრე თარგმნილი) და ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომლის შედგენის იდეაც და შრომაც, როგორც სხვა დანარჩენი წიგნებისა, ეკუთვნის ქართველს, მთარგმნელსა და მკვლევარ ერდოღან შენოლს (ერეკლე დავითაძეს). ამიტომ დაჯილდოვდა ის აჭარის მწერალთა სახლის მეგობრის დიპლომით.

საქართველოში მათ, ფაქტობრივად, ქართული ტური ჩაატარეს, მონახულეს როგორც აჭარა, ისე აღმოსავლეთ საქართველო. როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, მათ

ოჯახებში ყოველთვის ესმოდათ ქართული, არასდროს მალავდნენ, რომ წარმოშობით ქართველები არიან. ყველაფერი, რაც მათ წინაპრებს უყვარდათ, მათთვისაც ძვირფასი იყო და არის. როგორც აღვნიშნეთ, ერდოღან შენოლიმ (ერეკლე დავითაძემ) თან ჩამოიტანა მისი ნათარგმნი წიგნები, მათ შორის, 1913 გამოცემული „მამოლუქი“. ეს საუკუნეზე მეტი ხნის ნაწარმოები მან ახლა თარგმნა, ორი წლის წინათ კი ფრიდონ ხალვაშის „ომრი“. აღნიშნა, რომ „ომრის“ თარგმნა ტერმინოლოგიის გამო გაუჭირდა, ზოგან აჭარული დიალექტი ვერ გაიგო და თქვა, „ქართულთან ისეა ჩაპწილი“, გამიჭირდაო. მადლობა გადაუხადა შურნალისტ ოთარ ფუტკარაძეს, რომელიც მას თარგმნაში ეხმარებოდა.

ერდოღან შენოლი ვაჟა დავითაძის მეშვეობით გავიცანი. სხვათა შორის, მან ჩვენი ფილმის „ტოკლარჯეთი“ ტექსტი თურქულად თარგმნა და გაახმოვანა (ამ საინტერესო ფილმის რეჟისორი განსაკუთრებით ჯავახიშვილი, სცენარისტი - ოთარ ფუტკარაძე, პროდიუ-



სერი - ვაჟა დავითაძე, ახმოვანებს ზაზა ხალვაში - მ. დ.). როცა „ომრის“ თარგმნა დაიწყო, ტერმინების გაგება ცოტა გაუჭირდა, დახმარება მოხდა. ფეისბუქის საშუალებით ვეკონტაქტობდი. ეს არის არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ქვეყნობრივად ქართულ საქმეს დიდი რუღუნებით აკეთებს, - გვითხრა ოთარ ფუტკარაძემ.

ეს იყო ცრემლიანი, მონატრების საღამო, მამაკაცებიც კი ტიროდნენ. შეხვედრაზე იყვნენ იმათი შთამომავლებიც, ვინც საუკუნეების განმავლობაში ნატრობდა მშობლიურ კუთხეში ჩამოსვლას.

ჩვენ, საზღვარს იქით და საზღვარს აქეთ მცხოვრები ქართველები, ერთ სიზმარს ვნახულობდით, რადგან ერთმანეთი გვენატრებოდა. დაღა სიზმრის ასრულების დრო. ჩვენ უნდა ჩავხვედეთ ერთმანეთს. ჩვენ ვართ ხიდი წარსულსა და მომავალს შორის. ის ოცნებები, რომლებიც წინაპრებმა მიწაში ჩაიტანეს, ცხადად უნდა ვაქციოთ, ავად ვართ ხიდი, რომელზეც სამომავლოდ ჩვენი შვილები და შვილიშვი-

ლები ერთად გაივლიან. მე თქვენ გიყურებთ როგორც ახლო ნათესავებს. უნდა მოვანერხოთ, რომ ეს სიყვარული გადავიდეს მომავალ თაობაზე. ჩვენ შეგვიძლია, წინაპრების ტკივილებს ვუწამლოთ. ეს წამალი იქნება, თუ დავიწყებულ ქართულ ენას ვასწავლით ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, რომ ხვალ და ზევ ერთმანეთი არ დავკარგოთ. მაღამოდ უნდა დავედოთ ჩვენი წინაპრების ჭრილობებს. თითქმის ოთხი ათეული წელია, ასეთი ცრემლიანი საღამო არ მქონია. გულში „მივადეთ“ ერთმანეთს და ჩვენ შორის თითქოს განკურნების პროცესი დაიწყო, - აღნიშნა პოეტმა ვახტანგ ლლონტამ.

დარბაზი ფეხზე წამოუდგა ვახტანგ ლლონტს, გულში იხუტებდნენ თვალცრემლიანიები. დრო. ჩვენ უნდა ჩავხვედეთ ერთმანეთს. ჩვენ ვართ ხიდი წარსულსა და მომავალს შორის. ის ოცნებები, რომლებიც წინაპრებმა მიწაში ჩაიტანეს, ცხადად უნდა ვაქციოთ, ავად ვართ ხიდი, რომელზეც სამომავლოდ ჩვენი შვილები და შვილიშვი-

ლები ერთად გაივლიან. მე თქვენ გიყურებთ როგორც ახლო ნათესავებს. უნდა მოვანერხოთ, რომ ეს სიყვარული გადავიდეს მომავალ თაობაზე. ჩვენ შეგვიძლია, წინაპრების ტკივილებს ვუწამლოთ. ეს წამალი იქნება, თუ დავიწყებულ ქართულ ენას ვასწავლით ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, რომ ხვალ და ზევ ერთმანეთი არ დავკარგოთ. მაღამოდ უნდა დავედოთ ჩვენი წინაპრების ჭრილობებს. თითქმის ოთხი ათეული წელია, ასეთი ცრემლიანი საღამო არ მქონია. გულში „მივადეთ“ ერთმანეთს და ჩვენ შორის თითქოს განკურნების პროცესი დაიწყო, - აღნიშნა პოეტმა ვახტანგ ლლონტამ.



სპორტი

ხვირა კვარაცხელია ბათუმიდან ნაპოლში გასცოლის

ბათუმელი გულშემატკივრები, რომლებიცაც სახე იყო სტადიონი, მხურვალე შეძახილებით ჭირ მიედანზე შეხვდნენ და მერი იტალიაში გააცივებს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი წარმატებული ფორვარდი ზვირა კვარაცხელია, რომელმაც ბათუმის „დინამოს“ ფორმა სულ რამდენიმე თვე მთავარი და გულშემატკივარი გახაზა.

ეროვნული ლიგის მეოცე ტურის თამაშზე ყველა ბილიეთი გაყიდული იყო. 20 თასი გულშემატკივარი იდევს თამაშს, რაც ეროვნული ლიგის რეკორდია. ზვირა კვარაცხელია მესამე ქართველი ფეხბურთელია, ვინც სე-

რია „ა“-ში ითამაშებს, აქამდე ამ სერიაში ლევან მჭედლიძე და კახა კალაძე ასპარეზობდნენ.

ეროვნულ ლიგაში გამართულმა მატჩმა, რომელსაც ბათუმის არენამ უმასპინძლა, ერთმანეთს მოქმედი და ვიცე-ჩემპიონები - ბათუმისა და თბილისის დინამოელები შეხვდნენ. მასპინძლებმა 4:1 გაიმარჯვეს. არა მხოლოდ უხვი გოლით დაამახსოვრებდა გულშემატკივარს ეს შეხვედრა, არამედ შესვენებაზე - პირველი ტაიმის შემდეგ, როცა ბათუმელები 3:0 იგებდნენ, მოედანზე ზვირა კვარაცხელიას გამოხვლით. ბათუმელებმა შესანიშნავ ფორვარდს მადლობა გადაუხადეს გუნდში

კარგი თამაშისთვის და დიდ ფეხბურთში დაულოცეს გზა. ის მართლაც ყველაფერს აკეთებდა კეთილსინდისიერად, ისე, როგორც გამორჩეულ ფეხბურთელს შეეფერება, არაერთი სასიხარულო, დასამახსოვრებელი წუთი აჩუქა გულშემატკივარს.

თან მიხარია, თან მწყინს, ისეთ გარემოს ვტოვებ. ბათუმში ძალიან უყვართ ფეხბურთი. მიჭირს საუბარი, ერთად დიდი დრო არ გავგვიტარებია, მაგრამ ძალიან დიდი მოტივაცია მაჩუქებ და მომეცით მოტივაცია, რომ უფრო მეტი ვაკეთო. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ქართულ ფეხბურთს აღამაზებთ. ჩვენ ერთად ყველაფერს



უნდა მივალწოთ, წარმატება - ბათუმის „დინამოს“ ევროთასებზე! უნდა ვუგულშემატკივროთ, რადგან მიზნის მისაღწევად ყველაფერი აქვს. დიდი მადლობა ყველას, - ასე დაემშვიდობა ის ემოციებით სავსე სტადიონს.

ზვირა კვარაცხელია სულ მალე „ნაპოლის“ შეუერთდება. გეჩივრება, თავის სათქმელს აუცილებლად ხმამაღლა იტყვის და საქართველოს ასახელებს. წარმატება ვუსურვოთ. ყოველთვის იამაყებს ბათუმის „დინამო“, რომ ზვირა მისი გუნდის წევრი იყო.

ზვირა კვარაცხელიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე შეხვდა და წარმატებები უსურვა.

„მადლობა ბიჭებს მონიჭებუ-

ლი სიხარულისთვის. წარმატებებს ვუსურვებ ზვირა კვარაცხელიას „ნაპოლის“ საფეხბურთო კლუბში. მადლობა კვარას ბათუმის „დინამოს“ გულშემატკივრების სახელით.“ - წერს მთავრობის თავმჯდომარე სოციალურ ქსელში.

ბათუმის „დინამოს“ წინ ევროტურნირები ელოდება. ოცი ტურის შემდეგ ბათუმის გუნდი 47 ქულით გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია და თბილისის 9 ქულით უსწრებს. ჯია გეგუჩაძის გუნდი შემდეგ თამაშს სწორედ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიმართავს - 6 ივლისს სლოვაკეთში „სლოვანს“ დაუპირისპირდება.

